

დისციპლინური დარღვევები გაკვეთილზე და
ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობა
მათ შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში



ავტორები:

ანა კობახიძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი, ფასილიტატორი

ნანა კობახიძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის მედავითნეობის უფროსი მასწავლებელი, სამიზნე კლასის დამრიგებელი, რექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში

მალობას ვუხდით კვლევაში მონაწილე კოლეგებს და მოსწავლეებს
თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

2018-2019 სასწ. წელი

სარჩევი

აბსტრაქტი	4
თავი I - საკვლევი საკითხის მიმოხილვა	
1.1 საკვლევი თემის შერჩევა	5
1.2 აქტუალობა	6
1.3 კვლევის მიზანი	7
1.4 კვლევის ამოცანები	7
თავი II - ლიტერატურის მიმოხილვა	7
თავი III - კვლევის დიზაინი	
3.1 ძირითადი საკვლევი საკითხები	10
3.2 სამიზნე ჯგუფი	10
3.3 კვლევის მეთოდები	10
3.4 კვლევის გეგმა	12
3.5 კვლევის ვადები	12
თავი IV - შეგროვილ მონაცემთა ანალიზი	
4.1 დაკვირვება	13
4.2 ფოკუსჯგუფი მოსწალებთან	14
4.3 მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები	15
4.4 მასწავლებელთა ანკეტირების შედეგები	16
4.5 ინტერვიუ მასწავლებლებთან	17
4.6 ინტერვიუ მოსწავლეებთან	17
4.7 მიგნებები	18
თავი V - ინტერვენციები, მათი შედეგები და ანალიზი, შეფასება	
5.1 შესაძლო ინტერვენციები	18
5.2 ინტერვენციები, მათი შედეგები და ანალიზი	19
5.3 ინტერვენციების შეფასება	23

თავი VI - რეკომენდაციები, სირთულები, დასკვნა

6.1 რეკომენდაციები -----	24
6.2. სირთულები -----	26
6.4 დასკვნა -----	26
გამოყენებული ლიტერატურა -----	27
დანართები -----	28
რეფლექსია კვლევის მეთოდების გაზიარების შესახებ -----	32

აბსტრაქტი

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში. სამიზნე კლასად შეირჩა საბაზო საფეხურის ერთ-ერთი კლასი, სადაც მკვეთრად გაიზარდა დისციპლინური დარღვევები და შემცირდა მოსწავლეთა ინტერესი სწავლის მიმართ.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა კონკრეტულ კლასში კვლევის შედეგად გამოვლენილი დისციპლინური დარღვევების სახეები, მათი მიზეზები და ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობა მათ შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობა სამიზნე კლასში მკვეთრად მომატებული დისციპლინური დარღვევების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად და შესაბამისად აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. განვახორციელეთ დაკვირვება, ჩავატარეთ ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან, ინტერვიუები და ანკეტირება მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან.

ანალიზის შედეგად დავადგინეთ პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, დავსახეთ და განვახორციელეთ ინტერვენციები.

ინტერვენციების შედეგების ანალიზის შემდეგ შევიმუშავეთ შესაბამისი რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, რომლებიც დიდი ალბათობით ხელს შეუწყობენ ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას ან ნაწილობრივ მოგვარებას მაინც.

თავი I - საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 საკვლევი თემის შერჩევა

როგორც ცნობილია, კლასის მართვა და დისციპლინა კლასში სასწავლო პროცესის თანმხლები და ერთმანეთზე მჭიდროდ გადაჯაჭვული უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია და დღემდე სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და რთულ გამოწვევად რჩება.

რატომ ავირჩიეთ ეს თემა? რა გახდა იმპულსი ამ კვლევის დასაწყებად?

- სამიზნე კლასში, ზოგადად და მათ შორის ჩემს გაკვეთილებზე, დისციპლინური დარღვევების მკვეთრი მატება და შესაბამისად აკადემიური მოსწრების გაუარესება.
- სურვილი იმისა, რომ დაგვეხვეწა საკუთარი პროფესიონალიზმი. ასევე, დავხმარებოდით მოსწავლეებს, დაფიქრებულიყვნენ თავიანთ საქციელზე, გამოეწონებინათ იგი და შესაბამისად აემაღლებინათ თავიანთი ცოდნა და აკადემიური მოსწრება. გარდა ამისა, როგორც დამრიგებელი, პედაგოგი და რექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, დავხმარებოდი სახვა პედაგოგებს კლასის მართვის გაუმჯობესებაში.
- ფსიქოლოგთა საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში (ICASSI) მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სურვილი და ინტერესი იმისა, რამდენად ეფექტურად შეიძლებოდა კონკრეტულ რთულ სიტუაციაში ამ ცოდნის გამოყენება: შეგვესწავლა ან გაგვეხსენებინა კლასის მართვის ახალი ან ნაცნობი სტრატეგიები და გამოგვეცადა/ გამოგვეყენებინა ისინი საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში კონკრეტულ კლასში და კონკრეტულ სიტუაციებში.

(რა არის ICASSI ? - ICASSI არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ყველა მსურველს სთავაზობს ცოდნის გაღრმავებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ განათლებას. მისი მიზანია მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი ავსტრიელი ექიმისა და ფსიქოთერაპევტის, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის დამაარსებლის ალფრედ ადლერისა და ავსტრიელ-ამერიკელი ფსიქიატრის, პედაგოგისა და ფსიქოლოგის რუდოლფ დრაიკურსის სწავლებების გაცნობა.

საზაფხულო სკოლა, რომელიც ამ ორგანიზაციის ინიციატივით ყოველ ზაფხულს სხვადასხვა ქვეყანაში იმართება, თვითონ რუდოლფ დრაიკურსმა დააარსა. მოგვიანებით მას მისი ქალიშვილი ევა ფერგუსონ-დრაიკურსი ხელმძღვანელობდა. აღნიშნულ საზაფხულო სკოლაში ვმონაწილეობდი ორჯერ: 2000 წელს ცუოცში (შვეიცარია) და 2002 წელს პოტსდამში (გერმანია).

შემოთავაზებული სემინარებიდან მე ავირჩიე პირველად „ინდივიდუალური ფსიქოლოგიის შესავალი“ და „ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენება სკოლაში“, ხოლო მეორედ - „კონსტრუქციული კომუნიკაცია“ და „ცხოვრების სტილი და ადრეული ბავშვობის მოგონებები“.

საზაფხულო სკოლა ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის (და არა მარტო), მრავალმხრივ საინტერესო, სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებით სასარგებლო გამოდგა ბატონი მიდემას სემინარები - „ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენება სკოლაში“. ამ სემინარზე განვიხილავდით დისციპლინასთან დაკავშირებულ კონკრეტულ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება ყველაზე ხშირად წარმოიშვას გაკვეთილზე და ვმსჯელობდით მათი გადაჭრის გზებზე. ეს საინტერესო იყო იმდენადაც, რომ იმ პერიოდში ჩვენთან განათლების სისტემაში მსგავს საკითხებზე არ მახვილდებოდა ყურადღება. ამ სემინარებზე გვასწავლეს, როგორ დაგვედგინა ბავშვის გაკვეთილზე „ცუდად ქცევის“ მიზანი და

შეგვერჩია ამ მიზნის შესაბამისი პრობლემის გადაჭრის მეთოდები. ეს ყველაფერი ძალიან დაგვეხმარა დისციპლინური პრობლემების მოგვარებაში, რამაც თავისთავად გაზარდა სწავლა-სწავლების ხარისხი. ძალიან სასარგებლო იყო შეხვედრა შვეიცარიელ კოლეგა ერიკა ეხლესთან. იგი თავის სადამრიგებლო კლასში წარმატებით იყენებდა ე.წ. „პრობლემების რვეულს“, რაზეც მან მეთოდური ხასიათის წიგნიც დაწერა. ამ საზაფხულო სკოლაში პედაგოგისთვის საჭირო ბევრი წიგნი მივიღეთ საჩუქრად. მაგალითად: „დისციპინა ცრემლების გარეშე“, „ბავშვები სწავლობენ შედეგებიდან“, „პოზიტიური აღზრდა“, „ბავშვებს სჭირდებათ წესრიგი“, „კლასთან საუბარი - გზა ერთობისა და თანამეგობრობისკენ“ და სხვა, რაც კარგად გამოგვადგა კვლევაზე მუშაობისას.

ცხადია, ჩვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში აქამდეც წარმატებით ვიყენებდით საზაფხულო სკოლაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, თუმცა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში ამ მიმართულებით კვლევის ჩატარებაც გადავწყვიტეთ.)

1.2 აქტუალობა

როგორც აღვნიშნეთ, კლასის მართვა და დისციპლინა კლასში სასწავლო პროცესის თანმხლები და ერთმანეთზე მჭიდროდ გადაჯაჭვული უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია და დღემდე სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და რთულ გამოწვევად რჩება.

როდესაც მასწავლებელი კარგად ფლობს კლასის მართვის სტრატეგიებს, დისციპლინური დარღვევები გაკვეთილზე ან არ არის, ან მინიმუმამდეა დაყვანილი და შესაბამისად, მოსწავლეთა ცოდნის დონე და აკადემიური მოსწრება მაღალია.

როგორც რობერტ ჯ. მარზანო აღნიშნავს: „მასწავლებელი კლასში მრავალ ფუნქციას ასრულებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კლასის მართვაა. შეუძლებელია, სწავლისა და სწავლების დონე ეფექტური იყოს კლასში, როდესაც მასწავლებელი კარგად არ მართავს, როცა მოსწავლეები უწესრიგოდ და უპატივცემულოდ იქცევიან და როცა მათ ქცევას კონკრეტული წესები არ აწესრიგებს, კლასში ქაოსია. ქაოსურ სიტუაციაში მოსწავლეებიც ზარალდებიან და მასწავლებელიც - მასწავლებელს ძალიან დიდი ძალისხმევის გაღება უწევს, ხოლო მოსწავლეები შესაძლებელზე გაცილებით ნაკლებს სწავლობენ. იმ შემთხვევაში კი, თუ მასწავლებელს კლასის ეფექტურად მართვა შეუძლია, სწავლა და სწავლება გაცილებით წარმატებულია.“

სულ უფრო აქტუალური ხდება ფსიქოლოგიის გამოყენება გაკვეთილზე დისციპლინური დარღვევების აღმოფხვრის მიზნით იმდენად, რამდენადაც დისციპლინურ დარღვევებს შესაძლებელია სხვადასხვა ღრმა ფსიქოლოგიური მიზეზი განაპირობებდეს. ამიტომაც ფსიქოლოგიის გამოყენება დისციპლინური დარღვევების აღმოსაფხვრელად, ხშირად ერთ-ერთი ყველაზე გამართლებული გზაა.

საკვლევი საკითხის განსაზღვრა განაპირობა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილმა საჭიროებამ, კერძოდ, კონკრეტულ კლასში მკვეთრად მომატებულმა დისციპლინურმა დარღვევებმა და სწავლის ინტერესის შემცირებამ ზოგადად და მათ შორის ჩვენს გაკვეთილებზეც.

კვლევაზე ერთობლივი მუშაობა გადაგვაწყვეტინა, პირველ რიგში, საკვლევი საკითხის სირთულემ. ასევე იმანაც, რომ ორივეს გავლილი გვქონდა ფსიქოლოგთა საერთაშორისო

საზაფხულო სკოლა (ICASSI) და გვანტერესებდა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოგვეცადა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობა დისციპლინური დარღვევების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით. მით უმეტეს, რომ ორივენი ვართ სამიზნე კლასის პედაგოგები. კვლევაზე ძირითადად ვიმუშავეთ ერთად, თუმცა ინტერვენციები განვახორციელეთ ინდივიდუალურად.

1.3 კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანია:

- ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობის დადგენა სამიზნე კლასში მკვეთრად მომატებული დისციპლინური დარღვევების შესამცირებლად / აღმოსაფხვრელად და შესაბამისად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად;
- საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწა კლასის მართვის თვალსაზრისით;
- კოლეგების დახმარება კლასის მართვის გაუმჯობესების კუთხით;
- მოსწავლეთა დახმარება, თავიანთი „ცუდი ქცევის“ იდენტიფიცირებასა და გამოსწორებაში და შესაბამისად, თავიანთი ცოდნისა და აკადემიური მოსწრების ამაღლებაში.

1.4 კვლევის ამოცანები

- პრობლემის იდენტიფიკაცია, შეფასება და ფორმულირება;
- ლიტერატურის გაცნობა;
- მონაცემთა შეგროვება;
- პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების დადგენა შეგროვილ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე;
- ინტერვენციების შემუშავება;
- ინტერვენციების შედეგების შეფასება და ანალიზი;
- რეკომენდაციების შემუშავება და დასკვნის გამოტანა.

თავი II - ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლასის მართვა და დისციპლინური პრობლემები დღემდე უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება, ამიტომ ამ საკითხს არაერთმა მეცნიერმა, პედაგოგმა თუ ფსიქოლოგმა მიუძღვნა თავისი ნაშრომი.

კვლევის პროცესში, ჩვენ გავეცანით რამდენიმე მათგანს:

რობერტ ჯ. მარზანოს (და სხვების) „კლასის მართვა“, სადაც განხილულია, თუ რა გავლენას ახდენს კლასის მართვა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, მოყვანილია მაგალითები რეალური პედაგოგიური პრაქტიკიდან და მოცემულია რეკომენდაციები კლასის მართვის ეფექტურ მეთოდებზე, დისციპლინის დარღვევის შემთხვევების აღმოსაფხვრელ ღონისძიებებზე, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობებზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში „სასწავლო და პროფესიული გარემო“ კიდევ ერთხელ გადავხედეთ კლასის მართვისა და დისციპლინის საკითხებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ „მასწავლებლის წიგნს“, სადაც ერთ-ერთი ავტორი - მარინა ჯაფარიძე განიხილავს მოსწავლეთა „ცუდი ქცევის“ ფსიქოლოგიურ მოტივებს, პრევენციასა და მართვას; ძალაუფლებისმოყვარე და შურისმაძიებელი მოსწავლის ქცევის მახასიათებლებს და იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ წიგნში „ეფექტიანი სწავლება“ წავიკითხეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხები, როგორიცაა კლასის მართვა და ქცევის წესები; მოსწავლის უდისციპლინო ქცევის მართვა და სხვა.

კლასის მართვასა და დისციპლინურ საკითხებს ფსიქოლოგიურ კონტექსტში განიხილავენ და გარკვეულ რეკომენდაციებს იძლევიან: ნინო ლაბარტყავა თავის სტატიაში „კლასის მართვის სტრატეგიები“; მანანა ბოჭორიშვილი სტატიაში „მოსწავლეთა ქცევის და დისციპლინის საკითხები“ და სოფიო გორგოძე - „კლასის მართვა“.

დავამუშავეთ ზემოთ ნახსენებ ფსიქოლოგთა სკოლაში რეკომენდებული წიგნები:



„ბავშვებს სჭირდებათ წესრიგი“ („Kinder Brauchen Ordnung“) - ავტორის, იანე ნელსენის მიხედვით, „ყველა მშობელს თავისი შვილისთვის კარგი უნდა, მაგრამ ეს არ არის აღზრდაში წარმატების გარანტია. ისეთი ავტორიტარული დამოკიდებულება და მიმართვა, როგორიცაა: „შენ ახლა ამას გააკეთებ და მორჩა!“ მხოლოდ წინააღმდეგობრივ უკურეაქციას იწვევს. ხოლო მშობლები, რომლებიც ბავშვის აღზრდას მეტი პოზიტივით, სიყვარულითა და გაგებით ეკიდებიან, გაცილებით უკეთეს შედეგს აღწევენ. გამოსავალი არა დასჯაში, არამედ ურთიერთპატივისცემაშია!“ - თვლის ავტორი და პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე რეკომენდაციებს იძლევა.




„ბავშვები შედეგებზე სწავლობენ - როგორ ავიცილოთ ლანძღვა და სასჯელი“ („Kinder lernen aus den Folgen“) - ცნობილი და გამოცდილი ავტორები რუდოლფ დრაიკურსი და ლორენ გრეი ყოველდღიური კონფლიქტების მაგალითზე გვაძლევენ კონკრეტულ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს: „ბავშვის შესაძლებლობების ნდობა ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე მშობლის მხრიდან გამოვლენილი ნებისმიერი სიმკაცრე. თანამიმდევრული და გონივრული ქცევა მშობლების მხრიდან ეხმარება ბავშვს ადრეული ასაკიდანვე „შეაგროვოს“ საკუთარი გამოცდილებები და ისწავლოს თავისუფლების სწორად გამოყენება.“




„დისციპლინა ცრემლების გარეშე“ („Disziplin ohne Tränen“) - ავტორები რუდოლფ დრაიკურსი და სხვები თვლიან, რომ დისციპლინური პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, თუ სწორად განვსაზღვრავთ ბავშვის „ცუდი საქციელის“ მოტივებს. ასევე გასათვალისწინებელია გარემო - სკოლა, ოჯახი და საზოგადოება - ის უნდა განვიხილოთ, როგორც პრაქტიკულად მოქმედი გარემოება.



„საკლასო საუბრები - გზა კლასის ერთობისაკენ“ (Das Klassengespräch - ein Weg zur Gemeinschaftsbildung) - ავტორი ერიკა ეხლე (პრაქტიკოსი მასწავლებელი) აღფრედ ადღერის, რუდოლფ დრაიკურსისა და სხვა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლების თეორიებზე დაყრდნობით, განიხილავს საკლასო საუბრების, გამხსნელებისა და წახალისების, ეგრეთ წოდებული „პრობლემების რვეულის“ წარმოების ეფექტურობასა და მნიშვნელობაზე დისციპლინური პრობლემების მოგვარების საქმეში.




„ინდივიდუალური ფსიქოლოგია სკოლაში“ („Individualpsychologie in der Schule“) - ავტორი აღფრედ ადლერი გვაცნობს „რთული ბავშვების“ მშობლების მიერ აღწერილ ქცევებს და გვთავაზობს რეკომენდაციებს. ის თვლის, რომ სკოლის ამოცანაა, როგორ განვავითარებთ ადამიანებს, რომლებმაც მომავალში დამოუკიდებლად უნდა გააგრძელონ მუშაობა და რომლებმაც ყველა გამოწვევა უნდა მიიღონ როგორც საკუთარი და ილვაწონ მის გადასაჭრელად.



„ფსიქოლოგია საკლასო ოთახში“ („Psychologie im Klassenzimmer“) - ავტორი რუდოლფ დრაიკურსი საუბრობს მასწავლებლის როლზე, აღზრდის მეთოდებზე, დისციპლინის დამრღვევის 4 სავარაუდო მიზეზზე, გამოსწორების სხვადასხვა მეთოდზე და სხვა. იგი აღწერს აღზრდის პრაქტიკულ მოდელებს, პირველ რიგში კი ისეთ შემთხვევებს, რომლებიც მასწავლებლებსა და აღმზრდელებს ყოველდღიურად ხვდებათ: დემოტივირებული, გარიყული, ასევე, განებივრებისგან თავგასული ბავშვები. თავისი მრავალწლიანი პრაქტიკიდან მრავალრიცხოვან მაგალითებზე დაყრდნობით ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს,

რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს მასწავლებლის მიერ გატარებული აღმზრდელობითი ღონისძიებები. ზეწოლის ან ჯილდოს ადგილს იკავებს უფრო ბუნებრივად მოქმედი ლოგიკური მეთოდები, რომელიც ყველა ბავშვისთვის მისაღებია. „შედეგებიდან სწავლა“ ავტორის კრედაა. ის თვლის, რომ თანამიმდევრული და გონივრული ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით მასწავლებელს ყველაზე რთული დისციპლინური პრობლემების მოგვარებაც კი შეუძლია.



„პოზიტიური აღზრდა“ („Positive Erziehung“) - ავტორები რომან ბორბოა, ბეატრის ბორბოა, ოსკარ ხრისტენსენი, ბეტი ჯ. ნეველონი: „უმეტესი ჩვენგანი აღზრდის მეთოდებს დაკვირვებითა და ვარჯიშით სწავლობს. ეს წიგნი გთავაზობთ აღზრდის პრაქტიკული უნარების სწავლის შესაძლებლობას“. წიგნის ავტორები ცდილობენ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის დახმარებით გააძლიერონ მკითხველის დემოკრატიული იდეოლოგია, რათა ამით მხარი დაუჭირონ ბავშვთა ერთობლივ, თვითდისციპლინირებულ, შეგნებულ, გამოსავლის ძიებაზე (პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე) ორიენტირებულ ადამიანებად აღზრდას.

თავი III - კვლევის დიზაინი

3.1 ძირითადი საკვლევო კითხვები

საკვლევო საკითხი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ: „დისციპლინური დარღვევები გაკვეთილზე და ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობა მათ შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად“.

ჩვენი კვლევის მთავარი კითხვებია:

- რომელი დისციპლინური დარღვევები გვხვდება სამიზნე კლასში ყველაზე მეტად?
- დისციპლინის დარღვევის რა მოტივები გვხვდება სამიზნე კლასში ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სწავლების მიხედვით?
- რა ინტერვენციები შეიძლება გატარდეს მოსწავლეთა და პედაგოგთა დასახმარებლად?
- რამდენად ეფექტურია ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენება სამიზნე კლასში დისციპლინური დარღვევების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, აქედან გამომდინარე კი დისციპლინური ატმოსფეროს გასაუმჯობესებლად და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად?

კვლევის მიზნის მიღწევაში დაგვეხმარა შემდეგი საკითხების გადაჭრა:

- იმ დისციპლინური დარღვევების დადგენა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება სამიზნე კლასში;
- პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების დადგენა;
- არსებული არასასურველი რეალობის გამოსწორების მიზნით ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენებით შესაბამისი ინტერვენციების განსაზღვრა და განხორციელება;
- განხორციელებული ინტერვენციების ეფექტურობის შეფასება.

3.2 სამიზნე ჯგუფი

კვლევა ჩატარდა საბაზო საფეხურის ერთ-ერთ კლასში, სადაც აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იდგა.

3.3 კვლევის მეთოდები

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით, მონაცემთა შესაგროვებლად გამოვიყენეთ როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები: დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, ანკეტირება მასწავლებლებთან და ანკეტირება მოსწავლეებთან, ინტერვიუ მასწავლებლებთან და ინტერვიუ მოსწავლეებთან. ასევე ინტერვენციების შემდგომი გამოკითხვა.

დაკვირვება

დაკვირვების ჩატარება დაიგეგმა სამი თვის მანძილზე მკვლევარი მასწავლებლების ყველა გაკვეთილზე. პირველ ეტაპზე გაკვეთილის განმავლობაში დავაკვირდებოდით მოსწავლეებს, თუ რომელი მოსწავლეები და რა სიხშირით არღვევდნენ დისციპლინას, რასაც ჩავინიშნავდით დაკვირვების ოქმში. ეს მონაცემები დაგვეხმარებოდა იმის დადგენაში, თუ რაზე უნდა

გაგვეკეთებინა ფოკუსირება. შემდეგ ეტაპზე უკვე დავაკვირდებოდით იმ მოსწავლეებს, რომლებიც უფრო ხშირად და უხეშად არღვევდნენ დისციპლინას და ამასთან ასევე დავაკვირდებოდით საკუთარ რეაქციას კონკრეტული მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევისას (ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ჭრილში). ამით შევეცდებოდით დაგვედგინა მოსწავლის ტიპი და განგვესაზღვრა შესაძლო ინტერვენციები.

ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან

ამ მეთოდის გამოყენება გადაწყვეტით იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, ფოკუსჯგუფის დროს, რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფში, ყოველთვის აღმოჩნდება ისეთი, ვინც განსაკუთრებით გულახდილობით გამოირჩევა, რამაც შეიძლება წახალისოს დანარჩენებიც გულახდილ საუბარში. ამ დროს, რესპოდენტები უფრო თამამები და თავდაჯერებულები არიან. პრობლემებზე დაფიქრება და საუბარი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მეთოდია. კონკრეტულ შემთხვევაში, ფოკუსჯგუფის მიზანი იყო მოსწავლეები დაგვეფიქრებინა მათ მიერ საგაკვეთილო პროცესის დროს განხორციელებული დისციპლინური დარღვევების მიზეზებზე/მიზნებზე.

ანკეტირება მოსწავლეებთან

ანკეტირების საშუალებით გვინდოდა დაგვედგინა გაკვეთილზე მოსწავლეთა მიერ განხორციელებული დისციპლინური დარღვევების ტიპები და მოსწავლეების აზრით, მათი ცუდად ქცევის მიზნები ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში ცნობილი 4 მიზნიდან. (ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მიხედვით, ბავშვის ცუდად ქცევას საფუძვლად უმეტესწილად ოთხი ძირითადი მიზანი უდევს, უკეთ, ოთხი მოთხოვნილება: ყურადღების ცენტრში ყოფნისა, ძალაუფლების გამოვლენისა, რევანშისა და უმწეობის განცდისა.) ამის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეებს ანკეტაში შევთავაზეთ გაკვეთილზე დისციპლინური დარღვევების ტიპები, საიდანაც ისინი მონიშნავდნენ მათ მიერ განხორციელებულ დარღვევებს. ხოლო შემდეგ დაფიქრდებოდნენ ცუდად ქცევის მიზნებზე.

იმის გამო, რომ გვინდოდა მოსწავლეებს თავიანთი საქციელი გაეაზრებინათ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ჭრილში, ანკეტირებისას გამოვიყენეთ ძირითადად დახურული კითხვები, რომლებიც რესპოდენტებს სთავაზობდა პასუხების შესაძლო ვარიანტებს. ანკეტირება იყო ანონიმური, რათა რესპოდენტები ყოფილიყვნენ უფრო გულწრფელი და შესაბამისად, მათ მიერ გაცემული პასუხები ყოფილიყო უფრო ზუსტი და სანდო.

ანკეტირების ჩატარებამდე დეტალურად გავიაზრეთ, რისთვის გვჭირდებოდა რესპოდენტთა პასუხები, რამდენად მიგვაღწევინებდა ეს კითხვები შედეგს, შევეცადეთ კითხვები არ ყოფილიყო რთულად გასაგები და ორაზროვანი.

ანკეტირება მასწავლებლებთან

ანკეტირების საშუალებით გვინდოდა მასწავლებლებისგანაც დაგვედგინა გაკვეთილზე მოსწავლეთა მიერ განხორციელებული დისციპლინური დარღვევების ტიპები და მათ შორის ყველაზე ხშირად განხორციელებული დარღვევები, რაც შემდგომში გვჭირდებოდა

მასწავლებელთა ინტერვიუსათვის კითხვარის შესადგენად და ამავე დროს მასწავლებელთა მოსამზადებლად და განწყობის შესაქმნელად ინტერვიუსათვის.

ინტერვიუ მასწავლებლებთან

მასწავლებლებთან ინტერვიუს გზით გვინდოდა სამიზნე კლასის მასწავლებლებში გაგვერკვია, რომელი ბავშვები არღვევდნენ ყველაზე ხშირად დისციპლინას, რა რეაქციას იწვევდა მასწავლებლებში კონკრეტული ბავშვის ცუდი ქცევა, ამის მიხედვით კი დაგვედგინა ბავშვის ტიპი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციებიდან გამომდინარე და განგვესაზღვრა რეკომენდაციები მათთვის.

ინტერვიუ მოსწავლეებთან

მოსწავლეებთან ინტერვიუს გზით გვსურდა სამიზნე კლასის პრობლემურ ბავშვებთან გაკვეთილზე განხორციელებული დისციპლინური დარღვევების მიზეზების და მიზნების უფრო სიღრმისეული გარკვევა, რაც შემდგომში შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვაში დაგვეხმარებოდა.

3.4 კვლევის გეგმა

1. პრობლემის იდენტიფიკაცია, შეფასება და ფორმულირება;
2. ჩასატარებელი სამუშაოს წინასწარ განხილვა და შეთანხმება სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან;
3. ლიტერატურის გაცნობა;
4. მონაცემთა შეგროვება;
5. შეგროვილ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე პრობლემის სავარაუდო მიზეზების დადგენა;
6. ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება;
7. ინტერვენციების შედეგების შეფასება და ანალიზი;
8. სავარაუდო დასკვნები და რეკომენდაციები.

3.5. კვლევის ვადები

№	აქტივობა	ოქტომ.	ნოემბ.	დეკემ.	იანვარ.	თებერ.	მარტი	აპრილ.	მაისი
1	პრობლემის იდენტიფიკაცია, შეფასება და ფორმულირება	X							

2	ჩასატარებელი სამუშაოს წი-ნასწარი განხილვა და შეთანხ-მება სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან.	X							
3	კვლევის პროცესის დოკუმენტირება-კვლევის დღიურის წარმოება.	X	X	X	X	X	X	X	X
4	ლიტერატურის გაცნობა	X	X						
5	მონაცემთა შეგროვება	X	X	X					
6	შეგროვილ მონაცემთა საფუძ-ველზე პრობლემის სავარაუ-დო მიზეზების დადგენა		X	X					
7	სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა				X				
8	ინტერვენციების განხორციელება					X	X	X	
9	ინტერვენციების შეფასება და ანალიზი							X	
10	დასკვნების გამოტანა და სავარაუდო რეკომენდაციების შემუშავება								X
11	გამოცდილების გაზიარება/ პრეზენტაცია								X
12	ანგარიშის მომზადება								X

თავი IV - შეგროვილ მონაცემთა ანალიზი

4.1 დაკვირვება

დაკვირვება ხორციელდებოდა სამი თვის მანძილზე მკვლევარი მასწავლებლების ყველა გაკვეთილზე. პირველ ეტაპზე გაკვეთილის განმავლობაში ვაკვირდებოდით, თუ რომელი მოსწავლეები და რა სიხშირით არღვევდნენ დისციპლინას, რაც ჩავინიშნეთ დაკვირვების ოქმში. აღმოჩნდა, რომ სამიზნე კლასიდან რვა მოსწავლე განსაკუთრებით ხშირად არღვევდა დისციპლინას. ეს მონაცემები დაგვეხმარა იმის დადგენაში, თუ რაზე უნდა გაგვეკეთებინა ფოკუსირება. შემდეგ ეტაპზე უკვე დავაკვირდით კონკრეტულად იმ მოსწავლეებს, რომლებიც უფრო ხშირად და უხეშად არღვევდნენ დისციპლინას და ამასთან, ასევე დავაკვირდით საკუთარ რეაქციას კონკრეტული მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევისას (ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ჭრილში). ჩვენი რეაქციებისა და მოსწავლეთა დისციპლინური დარღვევების ანალიზით გამოიკვეთა, რომ განსხვავებული იყო მოსწავლეთა „ცუდი ქცევის“ მიზეზები. ამ რვა ბავშვს შორის, სავარაუდოდ, აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც „ცუდი ქცევით“ სურვილი ჰქონდათ ყურადღება მიექციათ (ზარმაცობდნენ, მკვეთრად გაუარესდა მათი აკადემიური მოსწრება, არაადეკვატური საქციელით ცდილობდნენ

მასწავლებლის და თანაკლასელების ყურადღების მიქცევას, იწვევდნენ ხმაურს); ისეთებიც, რომლებსაც უნდოდათ ძალაუფლების მოპოვება (ცდილობდა პირველობას, ჩხუბობდა, არ ითვალისწინებდა მასწავლებლის მითითებებს, იტყუებოდა, იყო დაუმორჩილებელი, თითქმის არ ასრულებდა საშინაო დავალებებს); ისეთებიც, რომლებსაც სურდათ შურისძიება (თავნებობდნენ, ჯიუტობდნენ, ეპასუხებოდნენ მასწავლებლებს, ცდილობდნენ უფროსების და თანაკლასელების წყენინებას, ტკივილის მიყენებას) და ისეთებიც, რომლებიც სრულიად დემოტივირებულები იყვნენ და თავს უმწეოდ გრძნობდნენ (ადვილად ნებდებოდნენ, ამჟღავნებდნენ არასრულფასოვნების კომპლექსს, იშვიათად ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში, ცდილობდნენ საკლასო ოთახში განმარტოებით ჯდომას).

4.2 ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან

მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ ზოგადად ბავშვებს ჰქონდათ სურვილი ღიად ესაუბრათ აღნიშნულ პრობლემაზე. საუბრის დასაწყისში მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე აქტიურობდა, ხოლო შემდეგ ფოკუსჯგუფის თითქმის ყველა მონაწილე გამოხატავდა საკუთარ აზრს. გამოიკვეთა მოსწავლეთა მხრიდან დისციპლინური დარღვევების შემდეგი მიზეზები/მიზნები: დემოტივაცია; ზოგიერთ გაკვეთილზე მათთვის ნაკლებად საინტერესო აქტივობები; სიზარმაცე; ამა თუ იმ საგნის შესწავლის მნიშვნელობის გაუთვითცნობიერებლობა; ყურადღების მიქცევის სურვილი და სხვა.

მოსწავლეთა სურვილები და მათ მიერ პრობლემის გადასაჭრელად შემოთავაზებულია შემდეგი გზები:


1. მასწავლებლების მხრიდან უფრო მეტი საუბრები (ინდივიდუალური/ჯგუფური);
2. თითოეული მოსწავლე ინტერესებისა და შესაძლებლობების მეტად გათვალისწინება;
3. მეტი სახალისო აქტივობები;
4. მოსწავლეთა მხრიდან საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღება;
5. ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება და მეტი პატივისცემა;
6. ერთმანეთის პრობლემებით დაინტერესება თანადგომის/დახმარების მიზნით.

4.3 მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები


ანკეტირებაში მონაწილეობდა სამიზნე კლასის 16 მოსწავლე.

კითხვაზე - ჩამოთვლილთაგან რა სახის დისციპლინური დარღვევები დაგიშვია გაკვეთილზე?

- გამოიკვეთა შემდეგი სურათი:



ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში ცნობილი „ცუდად ქცევის“ 4 მიზნიდან (ყურადღების ცენტრში ყოფნა, ძალაუფლების გამოვლენა, რევანში/შურისძიება და უმწეობის განცდა), სამიზნე კლასის მოსწავლეთა ცუდად ქცევის მიზნების გამოკვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა (ზოგიერთმა მათგანმა ცუდად ქცევის რამდენიმე მიზანი დაასახელა):



4.4 მასწავლებელთა ანკეტირების შედეგები

ანკეტირებაში მონაწილეობდა სამიზნე კლასის 16 მასწავლებელი.

კითხვაზე - ჩამოთვლილთაგან რა სახის დისციპლინური დარღვევები გხვდებათ ყველაზე ხშირად გაკვეთილზე სამიზნე კლასში? - მასწავლებლებმა დაასახელეს შემდეგი დარღვევები:

- საერთო საკლასო ხმაური
- გაკვეთილზე დაგვიანება
- მობილურის გამოყენება
- დაბალი ჩართულობა, უინტერესობა, არაკონცენტრირებულობა
- მასწავლებელზე არაკორექტული შეპასუხება
- პროტესტი გაკვეთილის/პედაგოგის მიმართ

მასწავლებელთა ანკეტირების შედეგების ანალიზის შემდეგ ჯერ ერთი, მივიღეთ სურათი, თუ რა ტიპის დარღვევებს გამოკვეთდნენ მასწავლებლები სამიზნე კლასში. ამასთან, ეს აქტივობა დაგვხმარა მასწავლებელთა ინტერვიუსათვის კითხვარის შედგენაში და ამავე დროს, მასწავლებელთა მომზადებაშიც ინტერვიუსათვის.

4.5 ინტერვიუ მასწავლებლებთან

მასწავლებლებთან ინტერვიუს გზით შევეცადეთ გაგვეჩვენა, სამიზნე კლასის რომელი ბავშვები არღვევდნენ ყველაზე ხშირად გაკვეთილზე დისციპლინას და ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, რა რეაქციას იწვევდა მასწავლებლებში კონკრეტული ბავშვის „ცუდი ქცევა“ ამის მიხედვით კი დაგვედგინა ცუდად ქცევის მოტივი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციებიდან გამომდინარე.

ინტერვიუების ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა იგივე მოსწავლეები, რომლებიც ჩვენს (მკვლევარი მასწავლებლების) გაკვეთილებზეც განსაკუთრებით ხშირად არღვევდნენ დისციპლინას. ასევე განსხვავებული იყო მათი „ცუდად ქცევის“ მიზეზები: ამ რვა ბავშვს შორის აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც „ცუდი ქცევით“ სურვილი ჰქონდათ ყურადღება მიექციათ, ისეთებიც, რომლებსაც უნდოდათ ძალაუფლების მოპოვება, ისეთებიც, რომლებსაც სურდათ შურისძიება და ისეთებიც, რომლებიც სრულიად დემოტივირებულები იყვნენ და თავს უმწეოდ გრძნობდნენ.

4.6 ინტერვიუ მოსწავლეებთან


ინტერვიუ ჩავატარეთ სამიზნე კლასის რვა განსაკუთრებით პრობლემურ მოსწავლესთან, რომელთაც დავუსვით ე. წ. სადიაგნოსტიკო კითხვები.

ამის საშუალებით შევეცადეთ სამიზნე კლასის პრობლემურ ბავშვებთან გაკვეთილზე განხორციელებული დისციპლინური დარღვევების მიზეზებისა და მიზეზების ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ჭრილში გარკვევას, რათა დაგვეგეგმა შესაბამისი ინტერვენციები.

ინტერვიუების შედეგების ანალიზისას გაირკვა, რომ ამ რვა მოსწავლიდან დისციპლინური დარღვევებით:

- სამს სურდა ყურადღების მიპყრობა. სამივე შემთხვევაში პრობლემა, სავარაუდოდ, ოჯახური მდგომარეობიდან მოდიოდა: ერთის მშობლები სამუშაოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ, მეორეს დედა მძიმედ ავად იყო, ხოლო მესამე ცხოვრობდა ოჯახური გარემოსგან მოშორებით, რის გამოც სამივე მოსწავლე ყურადღებისა და სითბოს ნაკლებობას განიცდიდა.
- ერთ მათგანი ამჟღავნებდა ძალაუფლების მოპოვების სურვილს. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მისი აზრით მშობლები უფრო მეტ ყურადღებას მისი წარმატებული უფროსი ძმის მიმართ იჩენდნენ, სისტემატურად ადარებდნენ მას უფროს ძმას. ამან, დიდი ალბათობით, მისი დაუმორჩილებლობა და სიჯიუტე გამოიწვია, რაც ხშირ დისციპლინურ დარღვევებში გამოიხატა.
- ორ მოსწავლეში გამოიკვეთა შურისძიების სურვილი. ორივე მათგანი მცირე ასაკში მამამ მიატოვა, რომლებმაც ახალი ოჯახები შექმნეს და აღნიშნული მოსწავლეების ამბავს არც კითხულობდნენ. სავარაუდოდ, ბავშვებმა მიიღეს სერიოზული სულიერი ტრავმა, რამაც მათში სურვილი წარმოშვა, თვითონაც ტკივილი მიაყენონ სხვას.
- ორი მოსწავლე გამოხატავდა სრულ დემოტივაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ერთ შემთხვევაში, სავარაუდოდ, განსხვავებული ღირებულებების საფუძველზე მშობლებს შორის ინტერესთა კონფლიქტი იყო, რამაც ბავშვის დაზნევა და სრული დემოტივაცია გამოიწვია. მეორე

შემთხვევაში კი ბავშვი ძირითადად უდებამოდ იზრდება, აკლია ოჯახური სითბო, სიყვარული, ყურადღება, რამაც, დიდი ალბათობით, ამ ბავშვების დემოტივაცია გამოიწვია.



4.7 მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- სამიზნე კლასის შემთხვევაში მოსწავლეთა „ცუდი ქცევის“ მიზეზები, დიდი ალბათობით, ძირითადად ოჯახური პრობლემების შედეგია, რამაც აღნიშნული „ცუდი ქცევები“ გარდატეხის ასაკში კიდევ უფრო გაამწვავა;
- პრობლემურ მოსწავლეებთან სასკოლო გარემოში მეტი ინდივიდუალური საუბრების საჭიროება;
- სასკოლო საადმინისტრაციო პროცესში ისეთი აქტივობების ჩართვა, სადაც მეტად იქნება გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.

თავი V - ინტერვენციები, მათი შედეგები და ანალიზი, შეფასება

5.1 შესაძლო ინტერვენციები

ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლების - ალფრედ ადლერის და რუდოლფ დრეიკურსის თეორიის მიხედვით ყველა ცუდი ქცევა საფუძვლად უდევს ბავშვის არასწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, როგორ მოიპოვოს სტატუსი და გავლენა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ თეორიის მიხედვით, მოსწავლის ცუდი ქცევა უმეტეს შემთხვევებში ყურადღების მიქცევის, ძალაუფლების შეგრძნების, შურისძიების სურვილი და უმწეობის განცდა იწვევს. მოცემული მიზეზები იერარქიულადაა განლაგებული. ბავშვები ჯერ ყურადღების მიქცევა ცდილობენ, თუ არ გამოუვიდათ, მიმართავენ ძალაუფლების დემონსტრირებას – იწყებენ დაპირისპირებას აღიარებულ ავტორიტეტებთან (მშობლებსა და პედაგოგებთან), ურჩობენ, ჯიუტობენ, კამათობენ, წარუმატებლობის შემთხვევაში გადადიან რევანშზე – აგრესიას

ამჟღავნებენ, სხვების დაჩაგვრას იწყებენ ან, პირიქით, გულჩათხრობილები ხდებიან. თუ ასეთი ქცევაც უყურადღებოდ დარჩა, მაშინ ბავშვები არაადეკვატურად იქცევიან, გრძნობენ უსუსურობას, ავლენენ ადამიანისთვის დამახასიათებელ ღრმად ჩამჯდარ არასრულფასოვნების კომპლექსს. ზოგჯერ კი ბავშვს ერდროულად სხვადასხვა მოტივი შეიძლება ამოდრავებდეს. მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის ქცევის მოტივის სწორი განსაზღვრა ეფექტიანი მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა, მასზეა დამოკიდებული ჩარევის ხერხების სწორად შერჩევა, არასასურველი ქცევის აღკვეთა და სწორი ქცევების ფორმირება. ამ თეორიის მთავარი სტრატეგიებია „გამხმევა და არა ჯილდო, ბავშვისთვის საკუთარი პასუხისმგებლობის დანახვა და არა დასჯა“.

ინდივიდუალური ფსიქოლოგია აქცენტს აკეთებს მოსწავლთა ინდივიდუალობისა და უფლებების გათვალისწინებაზე, მაგრამ, ჰუმანისტური მოდელისგან განსხვავებით, მასწავლებელს მმართველის როლს აკისრებს.

ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მიხედვით, ბავშვები მაშინ იქცევიან ცუდად, როდესაც მიზნის მისაღწევად არასწორ საშუალებებს მიმართავენ. ყურადღების მიპყრობის მისაღები ფორმაა კარგად სწავლა ან სოციალურად მისაღები ქცევის განხორციელება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვებს ჰგონიათ (ან ნეგატიური გამოცდილება აქვთ – მათ მხოლოდ ცუდი საქციელის გამო აქცევდნენ ყურადღებას), რომ ყურადღების მიქცევის საუკეთესო გზა დისციპლინის დარღვევაა.

რუდოლფ დრაიკურსმა პედაგოგებისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა არასასურველ ქცევაზე რეაგირება.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციები როგორც საგნის მასწავლებელმა, ასევე როგორც სამიზნე კლასის დამრიგებელმა.

5.2 ინტერვენციები, მათი შედეგები და ანალიზი

როგორც ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლები ალფრედ ადლერი და რუდოლფ დრაიკურსი თვლიდნენ, „არასწორი ქცევის მოტივები „მცდარი ბავშვური ლოგიკის“ შედეგია. ბავშვები რეალობას საკუთარი აღქმებისა და წარმოდგენების ფილტრის გავლით ხედავენ, ამან კი, შესაძლებელია, არასწორი მიდგომა წარმოშვას.“

ინტერვენციები დავგეგმე როგორც მთლიანი კლასისთვის, ასევე მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი რვა უფრო მეტად პრობლემური მოსწავლისთვისაც.

ინტერვენციები მთლიანი კლასისათვის

როგორც ფოკუსჯგუფიდან გამოიკვეთა, ბავშვებს ჰქონდათ სურვილი, შეკრებილიყვნენ უფრო ხშირად და ესაუბრათ საკუთარ თუ კლასის სხვადასხვა პრობლემაზე. გავითვალისწინე მათი ეს სურვილი და დავგეგმე ყოველკვირეული საკლასო შეკრებები. ასევე გავითვალისწინე შვეიცარიელი კოლეგის, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მიმდევრის, ერიკა ეხლეს რეკომენდაციები წიგნიდან „საკლასო საუბარი - გზა კლასის ერთიანობისკენ“ და შემოვიღე „კლასის რეგული“, სადაც კლასის ყველა მოსწავლეს შეეძლო თავისი პრობლემის ჩაწერა, რომელიც მას თანაკლასელთან, პედაგოგთან ან ჩემთან ურთიერთობისას შეექმნებოდა. ერთ პრობლემას ეთმობოდა ერთი წყვილი ფურცელი, სადაც თავისუფალ ადგილზე ჩაიწერებოდა

პრობლემის გადაჭრის გზები. ამ რვეულში ასევე შეედლოთ ჩაეწერათ თემა, რაზეც სურდათ საკლასო შეკრებებზე საუბარი, ან რაიმე იდეა ან ერთობლივი აქტივობა, რისი შესრულების სურვილიც მათ ჰქონდათ. შეკრებებზე ვცდილობდი, რომ საუბარი დამეწყო გამხსნევებით: ხანდახან ვეკითხებოდი ბავშვებს: რა მოხდა ამ კვირაში ისეთი, რამაც გაგახარათ? თქვენ თუ გაახარეთ ვინმე? ვინმემ თუ გითხრათ რაიმე სტიმულის მომცემი რამ ან თქვენ თუ უთხრათ ვინმეს მსგავსი რამ? როგორ იმოქმედა ამან თქვენზე? რამე სასარგებლო თუ გააკეთეთ ამ კვირაში? და ა. შ. შემდეგ ვსაუბრობდით მათთვის სასურველ თემაზე. საკლასო შეხვედრებმა დამანახვა, რომ ბავშვები შედარებით დამშვიდდნენ, მიხვდნენ, რომ თავის პრობლემებთან მარტო არ არიან და ხშირ შემთხვევაში მსგავსი პრობლემებიც აქვთ. გარდა ამისა, ბავშვები ამით სწავლობდნენ პრობლემის ჩამოყალიბებას და მასზე საუბარს, იღებდნენ იმის გამოცდილებას, რომ პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა საშუალება არსებობს.

რუდოლფ დრაიკურსმა პედაგოგებისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა არასასურველ ქცევაზე რეაგირება. მისი რეკომენდაციების მიხედვით, ბავშვის მიერ გამოვლენილი „ცუდი ქცევის“ შემდეგ პედაგოგი პირველ რიგში უნდა დააკვირდეს თავის რეაქციას. ამის საფუძველზე მას შეუძლია მოსწავლეს დაუსვას სადიაგნოსტიკო შეკითხვა/შეკითხვები, ხოლო მისი პასუხიდან განსაზღვროს მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ქმედებები/ღონისძიებები. ეს, რა თქმა უნდა, მასწავლებლის მხრიდან სერიოზულ სულიერ ძალას, მონდომებას და სიყვარულს მოითხოვს.

სამიზნე კლასის მასწავლებლებს გავაცანი რუდოლფ დრაიკურსის მიერ რეკომენდებული ცხრილი და ვთხოვე, შეძლებისდაგვარად გაეთვალისწინებინათ ცხრილში მოცემული რეკომენდაციები. მასწავლებელთა უმეტესობა დამთანხმდა, ჩართულიყო ამ ინტერვენციის განხორციელებაში.

მასწავლებლებთან სისტემატური კონტაქტით ვიგებდი ინტერვენციის განხორციელების მიმდინარეობას სხვა გაკვეთილებზე, მონაცემებს ვინიშნავდი კვლევის დღიურში. რამდენიმე პედაგოგმა წარმატებულად გამოიყენა რუდოლფ დრაიკურსის რეკომენდაციები და შედეგიც მიიღო.

ინტერვენციები ცალკეული მოსწავლეებისათვის

1. ის მოსწავლეები, რომლებიც დისციპლინის დარღვევით ცდილობდნენ ყურადღების მიპყრობას, სწავლაში ზარმაცობდნენ, ძნელად ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში, იშვიათად ასრულებდნენ საშინაო დავალებას, მობილურით ერთობოდნენ გაკვეთილზე და დროდადრო არაადეკვატური საქციელით ცდილობდნენ მასწავლებლებისა და თანაკლასელების გაცინებას, გართობას. ჩემი გაკვეთილის დროს ვფიქრობდი, რომ ეს ბავშვები ბევრ დროს მართმევდნენ და ამ სიტუაციისთვის რაღაც უნდა მეშველა. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სწავლების გათვალისწინებით, გადავწყვიტე, ამ მოსწავლეთათვის არ მიმექცია ყურადღება, როდესაც ისინი თავიანთი საქციელით ამას ითხოვნენ; იგნორირება გამეკეთებინა მათთვის, როდესაც ისინი ცუდი საქციელით ჩემი და თანაკლასელების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ, რადგან ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სწავლების მიხედვით, ამ დროს დასჯა, დახმარება, რჩევის მიცემა, შენიშვნის მიცემა - ყურადღების მიქცევას ნიშნავს და მათ ცუდ საქციელს უფრო განამტკიცებს. გადავწყვიტე, ამ ბავშვებისთვის არ მეჩვენებინა გაბრაზება, სხვა დროს გამომეჩინა მათ მიმართ ყურადღება და გავსაუბრობოდი მათ. ვთხოვე კოლეგებსაც, შეცდილიყვნენ და ასევე მოქცეოდნენ აღნიშნულ მოსწავლეებს.

დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელებისას, კერძოდ ინდივიდუალური საუბრების დროს, ვუსვამდი მათ ინდივიდუალური ფსიქოლოგების მიერ რეკომენდებულ შეკითხვებს, ვლაპარაკობდით მათთვის საინტერესო თემებზე. გარკვეული დროის შემდეგ შევატყე, რომ ამ მოსწავლეთა მხრიდან მოიკლო უდისციპლინო საქციელის სიხშირემ, ისინი მეტად ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში, რაც მეტ-ნაკლებად მათ აკადემიურ მოსწრებაზეც აისახა.

2. ერთ-ერთი მოსწავლე ამჟღავნებდა ძალაუფლების მოპოვების სურვილს. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მისი აზრით მშობლები უფრო მეტ ყურადღებას მისი წარმატებული უფროსი ძმის მიმართ იჩენდნენ, სისტემატურად ადარებდნენ მას უფროს ძმას. ამან, დიდი ალბათობით, მისი დაუმორჩილებლობა და სიჯიუტე გამოიწვია, რაც ხშირ დისციპლინურ დარღვევებში გამოიხატა: მუშაობდა ცოტას ან საერთოდ არა, მაგრამ უნდოდა პირველობა, ურჩობდა, ჩხუბობდა, იტყუებოდა, არ ითვალისწინებდა მითითებებს, გახდა დაუმორჩილებელი, უნდოდა, ყველას ის გაეკეთებინა, რაც მას სურდა. მსგავს საქციელს ამჟღავნებდა უმეტეს მასწავლებლებთან. მისი ასეთი საქციელი, ვგრძნობდი, რომ ძალას მაცლიდა. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სწავლების საფუძველზე გადავწყვიტე, მიმეცა მისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა, სადაც მას შეეძლებოდა პროდუქტიული ყოფილიყო, ინდივიდუალური საუბრების დროს შევცდილიყავი, მიმეღწია მასთან შეთანხმებისათვის.

აღნიშნული მოსწავლე ჩავრთე საპასუხისმგებლო პროექტში, სადაც დავავალე გადაეღო და დაემონტაჟებინა პროექტისათვის საჭირო ვიდეო-კადრები; ვთხოვე, ეხელმძღვანელა მაკულატურის შეგროვების აქციისათვის, რაზეც უარი არ უთქვამს. ინდივიდუალური საუბრების დროს ვცდილობდი, დამენახებინა მისთვის მისი შესაძლებლობები, ნიჭი, დადებითი უნარები და ვარწმუნებდი, რომ ამ შესაძლებლობების სწორად გამოყენების შემთხვევაში შეეძლო ბევრისთვის მიეღწია. ვთხოვე დანარჩენ მასწავლებლებსაც, იგივე მეთოდებისთვის მიემართათ. დაგეგმილმა ინტერვენციებმა საგრძნობი შედეგი გამოიღო: შემცირდა მოსწავლის მხრიდან დაუმორჩილებლობა და ჯიუტობა. დაგეგმილმა აქტივობებმა ნაწილობრივ დაუკმაყოფილა პირველობის სურვილი, დაიწყო მასწავლებლების მითითებების გათვალისწინება.

3. მოსწავლეებს, რომლებიც მცირე ასაკში მამებმა მიატოვეს და მათ ამბავს არც კითხულობდნენ, სერიოზული სულიარი ტრავმა ჰქონდათ მიღებული, რამაც, სავარაუდოდ, მათში სურვილი წარმოშვა, თვითონაც ტკივილი მიეყენებინათ სხვისთვის. მათი ცუდი საქციელის მიზანი, ჩვენი გამოკვლევით, რევანში (შურისძიება) იყო. ისინი გაკვეთილებზე თავნებობდნენ, ჯიუტობდნენ, ჩხუბობდნენ, უხეშად ეპასუხებოდნენ მასწავლებლებს, ცდილობდნენ, რამენაირად ეწყენინებინათ თანაკლასელებისთვის და მასწავლებლებისთვის. ჩემი რეაქცია მათ საქციელზე ის იყო, რომ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი, მწყინდა მათი საქციელი და მინდოდა რამენაირად დამესაჯა ისინი, მაგრამ გავითვალისწინე ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სწავლების რჩევები და გადავწყვიტე, არ მეჩვენებინა ბავშვებისთვის ჩემი წყენა და ბრაზი, შევცდილიყავი, ჩემი რეაგირება მათთვის მოულოდნელი ყოფილიყო, ინდივიდუალური საუბრების დროს დამერწმუნებინა ისინი, რომ მიუხედავად მათი ასეთი საქციელისა, ისინიც სხვებივით მიყვარდა და არც სხვები რიყავდნენ მათ. ვთხოვე სხვა პედაგოგებსაც, შევცდილიყვნენ მსგავსი მეთოდების გამოყენებას.

ამ მოსწავლეთან მიმართებაში განვახორციელე დაგეგმილი ინტერვენციები თითქმის ყველა გაკვეთილზე, რისთვისაც დიდი ძალისხმევა დამჭირდა. გარკვეული დროის შემდეგ მათ მართლაც მოუკლეს უხეშობას, თავნებობასა და ჯიუტობას თანაკლასელებისა და ჩემ მიმართ,

იშვიათად ან თითქმის აღარ ცდილობდნენ ჩვენს წყენინებას. მეტად ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში და თანამშრომლობდნენ თანაკლასელებთან ჯგუფური მუშაობისას.

4. რაც შეეხება დემოტივირებულ მოსწავლეებს, მათგან ერთ-ერთი (რომელსაც დედა ადრე გარდაეცვალა და ასევე მამისგან და ოჯახური გარემოსგან მოშორებით იზრდებოდა) იშვიათად ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში, ხშირად მოდიოდა გაკვეთილზე დავალების გარეშე, იმიზეზებდა თავის ან მუცლის ტკივილს, ადვილად ნებდებოდა, ამჟღავნებდა არასრულფასოვნების კომპლექსს, ცდილობდა საკლასო ოთახში განმარტოებით ჯდომას. მეორე მოსწავლეც ასევე იშვიათად ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში, თითქმის არ ასრულებდა დავალებებს, იმიზეზებდა დაღლილობას და გაკვეთილის განმავლობაში თავი მერხზე ედო, ამჟღავნებდა არასრულფასოვნების კომპლექსს, ხანდახან კი ხმაურობდა და ამჟღავნებდა სულელურ საქციელს. მათი საქციელი მთრგუნავდა, თავს უმწეოდ ვგრძნობდი, იყო მომენტები, როდესაც აღარ ვიცოდი, როგორ მეშველა მათთვის, როგორ გამეგრძელებინა მასთან მუშაობა. გადაწყვიტე, გამეთვალისწინებინა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სწავლება. მუსიკის მასწავლებლისაგან ვიცოდი, რომ ამ მოსწავლეთაგან ერთ-ერთს კარგი მუსიკალური სმენა და ხმა ჰქონდა. გადაწყვიტე მისი ეს ნიჭი გამომეყენებინა მის დასახმარებლად და მოტივაციის ასამაღლებლად და აქტიურად ჩამერთო იგი სხვადასხვა საინტერესო და სახალისო პროექტში. გადაწყვიტე, ორივე დემოტივირებულ მოსწავლეს ხშირად გავსაუბრობდი ინდივიდუალურად, დავინტერესებულობდი მათი საყვარელი საქმიანობებით, მათი პრობლემებით, ჩამერთო ისინი სახალისო აქტივობებში, ჩამეტარებინა დამატებითი გაკვეთილები და ამით დავხმარებოდი საგნის სასწავლო პროგრამის დამლევაში. ვთხოვე სხვა პედაგოგებსაც, მსგავსი მეთოდებით შეცდილიყვნენ მათი არასრულფასოვნების კომპლექსის „დანგრევას“.

მუსიკალური ნიჭის მქონე მოსწავლეს გავსაუბრე გერმანულის მასწავლებელთან ერთად და ვთხოვეთ, რომ მონაწილეობა მიეღო საშობაოდ დაგეგმილ შემეცნებით-მუსიკალურ სასწავლო პროექტში „შობა გერმანიაში“. შევეცადეთ დაგვერწმუნებინა იგი პროექტის წარმატებით განსახორციელებლად მისი მონაწილეობის აუცილებლობაში. ვთხოვეთ, გაცნობოდა პროექტის მასალას და დაგეგმილ აქტივობებს, რის შემდეგაც მისგან თანხმობა მივიღეთ. მუშაობის პერიოდში მის მიმართ ვიყენებდით გამამხნეველ, წამახალისებელ შეფასებებს, ხაზს ვუსვამდით მის ნიჭს და მონდომებას. პროექტი მართლაც წარმატებული გამოვიდა, რამაც მოსწავლის გამხნეება და მოტივაციის ამაღლება გამოიწვია. იგივე პროექტი წარმატებით წარმოვადგინეთ საშობაო ფესტივალზე. კოლეგებმაც გაითვალისწინეს ჩემი რეკომენდაცია და ამ მოსწავლეების მიმართ იყენებდნენ წამახალისებელ, გამამხნეველ და მამოტივირებელ კომენტარებს, რამაც ერთი მოსწავლის შემთხვევაში განსაკუთრებით ეფექტურად იმუშავა მაგ. ქიმიისა და ფიზიკის გაკვეთილებზე, რომელმაც სასწავლო წლის ბოლოს 2-2 ქულით მაღალი შეფასებები დაიმსახურა.

მეორე მოსწავლესთან ინდივიდუალური საუბრების დროს ვლაპარაკობდით მისთვის საინტერესო თემებზე, მის პრობლემებზე. მუშაობის პერიოდში მის მიმართ ვიყენებდი გამამხნეველ, წამახალისებელ შეფასებებს, ხაზს ვუსვამდი მის ნიჭს და მონდომებას. მისგან გამომჟღავნებული უინტერესობის შემთხვევაში ვეუბნებოდი, რომ თავს არ დავანებებდი. გარკვეული დროის შემდეგ შევატყე გააქტიურება, ინტერესის მომატება სწავლის მიმართ, მოტივაციის ამაღლება; ცდილობდა, შეესრულებინა საშინაო დავალებები, თანდათან გაუჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა.

5.3 ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციების განხორციელებისას მუდმივი კავშირი მქონდა სამიზნე კლასის სხვა პედაგოგებთან, პერიოდულად ვეკითხებოდი მათ დისციპლინისა და აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით ზოგადად კლასის მდგომარეობასა და „პრობლემური მოსწავლეების“ შესახებ, რასაც ვინიშნავდი კვლევის დღიურში. ასევე ჩემს გაკვეთილებზე ვადევნებდი თვალს ამ მიმართულებით კლასის დინამიკას. განსაკუთრებით ვაკვირდებოდი „პრობლემური ბავშვების“ საქციელს და საჭიროების შემთხვევაში ვცვლიდი ტაქტიკას, თუმცა ვრჩებოდი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სწავლების ფარგლებში.

იმის დასადგენად, თუ რამდენად ეფექტური იყო განხორციელებული ინტერვენციები, ჩავთვალე, რომ საინტერესო იქნებოდა, პედაგოგებისა და მოსწავლეების აზრი სამიზნე კლასში დისციპლინის მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ. ამიტომ, ჩავატარეთ წერილობითი ანონიმური გამოკითხვა.

მასწავლებლებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე:


ინტერვენციების განხორციელების შემდეგ სამიზნე კლასში დისციპლინის მხრივ მდგომარეობა:

ა). გაუმჯობესდა

ბ). იგივე დარჩა

გ). გაუარესდა

გამოკითხული 16 მასწავლებლიდან სამმა უპასუხა, რომ არაფერი შეცვლილა, ხოლო დანარჩენმა 13-მა აღნიშნა, რომ კლასში დისციპლინა გაუმჯობესდა. არცერთი პედაგოგის აზრით არ გაუარესებული დისციპლინის მხრივ მდგომარეობა სამიზნე კლასში.




მოსწავლეებს პასუხი უნდა გაეცათ შემდეგ კითხვაზე:

თქვენს კლასში მეორე სემესტრში საერთო საკლასო დისციპლინა:

ა). გაუმჯობესდა

ბ). იგივე დარჩა

გ). გაუარესდა



რაც შეეხება მოსწავლეთა გამოკითხვას, 16 მოსწავლიდან ხუთმა უპასუხა, რომ მეორე სემესტრში საკლასო დისციპლინა არ შეცვლილა, ხოლო 11-მა აღნიშნა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა. მოსწავლეებშიც არცერთს არ აღუნიშნავს საკლასო დისციპლინის გაუარესება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვენციების ანალიზის შედეგად, ვფიქრობთ, რომ სამიზნე კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარებული ინტერვენციები ეფექტური და შედეგიანი აღმოჩნდა როგორც მთლიანი ჯგუფის, ასევე თითოეული „პრობლემური ბავშვის“ დადებითად შეცვლის თვალსაზრისით.

როგორც ვვარაუდობდით, „პრობლემური მოსწავლეების“ დისციპლინის მეტ-ნაკლებად გამოსწორებამ, გაუმჯობესა მთელი ჯგუფის დისციპლინა და შესაბამისად უფრო პროდუქტიული და ხარისხიანი გახდა საგაკვეთილო პროცესი სამიზნე კლასში, რაც მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზეც აისახა.

თავი VI - რეკომენდაციები, სირთულეები და დასკვნა

6.1. რეკომენდაციები

სამიზნე კლასის მაგალითზე განხორციელებული ინტერვენციების შედეგების შეფასებისა და ანალიზის შემდეგ, კვლევის ავტორებმა შევიმუშავეთ ერთობლივი რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

1. გაკვეთილზე დისციპლინური დარღვევების შემთხვევაში, სავარაუდოდ შედეგიანი იქნება ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გათვალისწინება და მათი რეკომენდაციების გამოყენება:
 - ❖ სასურველია სადიაგნოსტიკო კითხვებით დადგინდეს მოსწავლის ცუდად ქცევის მიზეზები;
 - ❖ მასწავლებელი დაუკვირდეს საკუთარ რეაქციას მოსწავლის ცუდ საქციელზე;
 - ❖ ამის შემდეგ განსაზღვროს დისციპლინურ დარღვევებზე რეაგირების ფორმა (იგნორირება, წახალისება, გამხმევება, საპასუხისმგებლო დავალების მიცემა და სხვა).
2. არ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ბავშვის ცუდ საქციელს, თუ ის სწორედ ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად. სამაგიეროდ:
 - ❖ არ დატოვოთ უყურადღებოდ ის ბავშვი და შეაქეთ იგი, როდესაც ის კარგად იქცევა და არ არღვევს დისციპლინას;

- ❖ არ გამოხატოთ დაუფარავად გაღიზიანება და ბრაზი მოსწავლის არასასურველი ქცევის გამო, რათა ამით არ განამტკიცოთ მისი ცუდი ქვევა.
- 3. როდესაც მასწავლებელს მიაჩნია, რომ ბავშვის ქცევის მთავარი მიზეზი ძალაუფლების გამოვლენაა, მას არც უნდა დაუპირისპირდეს და არც დაუთმოს და მიმართოს ასეთ სტრატეგიებს:**
- ❖ მიეცით ბავშვს სიტუაციის შესაბამისი პასუხისმგებლობა, სადაც შეუძლია პროდუქტ-იული იყოს;
 - ❖ თავი აარიდეთ ძალაუფლებისთვის ბრძოლას; ნუ შექმნით კონფლიქტს;
 - ❖ სთხოვეთ ბავშვს დახმარება;
 - ❖ დააფასეთ ბავშვი.
- 4. როდესაც მოსწავლე შურისძიების სურვილს ამჟღავნებს, მან სასურველია მიმართოს შემდეგ სტრატეგიებს:**
- ❖ ნურასოდეს ეტყვიტ ბავშვს, რომ ნაწყენი ხართ;
 - ❖ ისე მოიქეციტ, თითქოს თქვენი წყენინება შეუძლებელია;
 - ❖ ირეაგირეთ მოულოდნელი საშუალებებით;
 - ❖ დაარწმუნეთ ბავშვი, რომ ისიც ყველა სხვა ბავშვით გიყვართ;
 - ❖ შეეცადეთ, ბავშვი დაარწმუნოთ, რომ სხვები მას არ რიყავენ.
- 5. როდესაც მოსწავლე დემოტივირებულია და ამის გამო არღვევს დისციპლინას:**
- ❖ სასურველია, გაამხნევოთ იგი;
 - ❖ აგრძნობინეთ ბავშვს, რომ მისი გარჯა ღირებულია;
 - ❖ შეაქეთ, როცა ცდილობს რამის გაკეთებას;
 - ❖ უთხარით მას: „იცოდეთ, თავს არ დაგანებებ!“
 - ❖ დაანგრეთ მისი არასრულფასოვნების კომპლექსი.
- 6. მოუსმინეთ მოსწავლეს კეთილგანწყობილ გარემოში**
- ❖ იმისათვის, რომ მოსწავლეებს მათი მცდარი მოტივების შეცვლაში დავეხმაროთ და ქცევაც შევაცვლევიტოთ, სასარგებლოა როგორც ინდივიდუალური, ასევე კლასთან ჩატარებული მოკლე საუბრები;
 - ❖ აღიარეთ ბავშვები თანასწორ და თანაბარუფლებიან პარტნიორებად;
 - ❖ შეეცადეთ წახალისოთ ისინი და უარი თქვიტ დაჯილდოვებაზე და დასჯაზე;
- 7. და ბოლოს... ამ ყველაფრის გათვალისწინება და შესრულება დიდ სულიერ და ფიზიკურ ძალას, სიყვარულს, მოთმინებას და ცოდნას მოითხოვს... არ დანებდეთ!!!**

რეკომენდაციები მოსწავლეებისთვის:

- ❖ შეეცადეთ, დაფიქრდეთ და გაიაზროთ თქვენი ცუდი საქციელის მიზეზი/მიზეზი;
- ❖ ცუდი ქცევის მიზეზის/მიზეზის გარკვევის შემთხვევაში არ შეშინდეთ და არ შეგრცხვეთ გამოუტყდეთ ამაში საკუთარ თავს;
- ❖ გაბედეთ და გაესაუბრეთ ამის შესახებ დამრიგებელს, საგნის მასწავლებელს, მოძღვარს;
- ❖ შეეცადეთ, გაითვალისწინოთ უფროსების კეთილგანწყობილი რჩევები.

6.2 სირთულეები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ჩვენ მიერ პირველად განხორციელდა. აქედან გამომდინარე, მასზე მუშაობისას დაზღვეული არ ვიყავით შეცდომებისა და ხარვეზებისაგან.

თუ გავითვალისწინებთ კვლევის თემატიკას, კვლევისთვის დაგეგმილი ინტერვენციები დიდ დროს, სულიერ და ფიზიკურ ძალას მოითხოვდა, რაც სასწავლო პროცესის პარალელურად საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

კვლევაში მონაწილეობა არ ისურვა სამიზნე კლასის ყველა პედაგოგმა. ინტერვენციებში მონაწილე პედაგოგების საკვლევი კუთხით მუშაობის ხარისხი ძნელად გაზომვადი იყო, ვეყრდნობოდით მხოლოდ მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

სამიზნე კლასის მოსწავლეები ყოველთვის არ გამოხატავდნენ ინდივიდუალურ და საკლასო საუბრებში მონაწილეობის ხალისს.

6.3 დასკვნა

ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა პრობლემის იდენტიფიკაციის, ინტერვენციების დაგეგმვის, ინტერვენციების განხორციელების და შეფასების ეტაპებს, დიდი ალბათობით, შეგვიძლია დავასკვნათ:

- ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენება სამიზნე კლასში მკვეთრად მომატებული დისციპლინური დარღვევების შესამცირებლად /აღმოსაფხვრელად და შესაბამისად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა;
- კლასის მართვის საკითხში, საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის თვალსაზრისით, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა საკმაოდ სასარგებლო იყო;
- ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გაცნობით გარკვეულწილად დავეხმარეთ კოლეგებსაც კლასის მართვის გაუმჯობესების კუთხით;
- კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვენციები მეტ-ნაკლებად დაეხმარა მოსწავლეებს, თავიანთი „ცუდი ქცევის“ იდენტიფიცირებასა და გამოსწორებაში და შესაბამისად, თავიანთი ცოდნისა და აკადემიური მოსწრების ამაღლებაში.
- მნიშვნელოვანი იყო კოლეგებთან თანამშრომლობა - ერთობლივი მსჯელობა პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე. კვლევის პროცესი იყო შრომატევადი, მაგრამ ამავე დროს ძალიან საინტერესო.

1. Adler Alfred, (Januar 1996); „Individualpsychologie in der Schule“; Fischer Taschenbuch Verlag
2. Borboa Roman, Borboa Beatrice, Christensen Oskar, Newlon Betti J.; (1996) „Pozitive Eriehung“; Borboa & Partners
3. ბოჭორიშვილი მანანა (11 მაისი, 2015); „მოსწავლეთა ქცევის და დისციპლინის საკითხები“; <http://mastsavlebeli.ge/?p=1684>
4. გორგოძე სოფიო (2012) „კლასის მართვა“; „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი“ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-OutfZz-8-00&cl=CL2.4&d=HASH245c38d0a027c9f1334404.5>=1>
5. Dreikurs Rudolf, (2009); „Psychologie im Klassenzimmer“; Taschenbuch Verlag
6. Dreikurs Rudolf, Grei Loren (2000); „Kinder lernen aus den Folgen“; Herder / Freiburg.Basel. Wien
7. Dreikurs Rudolf, Kassel Pearl, Rückriem Norbert; (1995) „Disciplin ohne Tränen“; Ehrenwirth
8. Echle Erika, (1999); „Das Klassengespräch - ein Weg zur Gemeinschaftsbildung“; BuchauszugEchle.pub
9. კუტალაძე ია - რედაქტორი; „ეფექტიანი სწავლება“ (2010); გამოცდების ეროვნული ცენტრი
10. ლაბარტყავა ნინო (28 მარტი, 2012); „კლასის მართვის სტრატეგიები“; <http://mastsavlebeli.ge/?tag=%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90&paged=3>
11. მარზანო რ. ჯ. და სხვები. (2009). „კლასის მართვა“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
12. Nelsen Jane (2000); „Die Kinder Brauchen Ordnung“; Mosaik bei GOLDMANN
13. ნიჟარაძე ნინო; მაკლეინი ქესი და სხვები (2008). „სასწავლო და პროფესიული გარემო“; გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
14. ჯაფარიძე მარინე, ფირჩხაძე მაია, ბოჭორიშვილი მანანა ; (2013). „მასწავლებლის წიგნი“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

დანართები

დანართი №1

კითხვარი მასწავლებლებისთვის

სამიზნე კლასში ჩამოთვლილთაგან გაკვეთილზე მხვდება შემდეგი სახის დისციპლინური დარღვევები: (მონიშნეთ სასურველი ნომერი)

1. საერთო საკლასო ხმაური;
2. დაგვიანება;
3. საკლასო ოთახში სიარული;
4. არასაპატიო გაცდენა;
5. დაბალი ჩართულობა, უინტერესობა;
6. ასოციალური საქციელი (მაგ. სხვებისგან განცალკევება);
7. არასაგაკვეთილო საუბარი;
8. მობილურის გამოყენება;
9. არაკონცენტრირებულობა;
10. შეურაცხყოფელი გამოთქმები;
11. აგრესია მასწავლებლის მიმართ;
12. აგრესია თანაკლასელების მიმართ;
13. ცემა-ტყეპა;
14. ტყუილი, თვალთმაქცობა, გამოგონილი ისტორიები თავის მართლების მიზნით;
15. ვანდალიზმი, სასკოლო ინვენტარის გაფუჭება-დამტვრევა;
16. მასწავლებელზე არაკორექტული შეპასუხება;
17. დავალების არ შესრულება;
18. პროტესტი გაკვეთილის მიმართ, პედაგოგის მიმართ;
19. პროვოკაციული შეკითხვები მეცადინეობის სხვა თემაზე გადატანის ან გაკვეთილის ჩაშლის მიზნით;
20. სხვა (ჩაწერეთ) _____

ჩამოთვლილთაგან რომელი დარღვევები გხვდებათ ყველაზე ხშირად?

(ჩამოწერეთ ნომრები) _____

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

დანართი №2

კითხვარი მოსწავლეებისთვის

ჩამოთვლილთაგან გაკვეთილზე დამიშვია შემდეგი სახის დისციპლინური დარღვევები:
(მონიშნეთ ნომერი)

1. დაგვიანება;
2. არასაპატიო გაცდენა;
3. საერთო საკლასო ხმაურში მონაწილეობა;
4. საკლასო ოთახში სიარული;
5. დაბალი ჩართულობა, უინტერესობა, არაკონცენტრირებულობა ;
6. ასოციალური საქციელი (მაგ. სხვებისგან განცალკევება);
7. არასაგაკვეთილო საუბარი;
8. მობილურის გამოყენება;
9. არაკონცენტრირებულობა;
10. შეურაცხმყოფელი გამოთქმები;
11. აგრესია მასწავლებლის მიმართ;
12. აგრესია თანაკლასელების მიმართ;
13. ცემა-ტყეპა;
14. ტყუილი, თვალთმაქცობა, გამოგონილი ისტორიები თავის მართლების მიზნით;
15. ვანდალიზმი, სასკოლო ინვენტარის გაფუჭება-დამტვრევა;
16. მასწავლებელზე არაკორექტული შეპასუხება;
17. დავალების არ შესრულება;
18. პროტესტი გაკვეთილის მიმართ, პედაგოგის მიმართ;
19. პროვოკაციული შეკითხვები მეცადინეობის სხვა თემაზე გადატანის ან გაკვეთილის ჩაშლის მიზნით;
20. სხვა (ჩაწერეთ) _____

გაკვეთილზე ცუდად ვიქცევი იმიტომ, რომ:

1. მინდა მივიპყრო ყურადღება;
2. მინდა ძალაუფლების მოპოვება სხვებზე;
3. მინდა შური ვიძიო;
4. მინდა ყველამ თავი დამანებოს;
5. სხვა (პასუხი დააკონკრეტეთ) _____

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

დანართი №3

ინტერვიუს კითხვარი მასწავლებლებისთვის

1. სამიზნე კლასის რომელი ბავშვები არღვევენ ყველაზე ხშირად დისციპლინას?

გთხოვთ, გაიხსენოთ დასახელებული ოთხი რეაქციიდან თქვენი რეაქცია კონკრეტული მოსწავლის დისციპლინური დარღვევების გამოვლინებისას.

1. მასწავლებელი შეწუხებულია. იგი ფიქრობს: „ეს ბავშვი ბევრ დროს მართმევს; მისი საქციელი ძალიან მამძიმებს“.
2. მასწავლებელი ძალიან უკმაყოფილოა. მისი როლი კლასის მართვის თვალსაზრისით ძალიან შესუსტებულია. იგი ფიქრობს: „ასე არ უნდა მექცეოდეს. მე ვარ გაკვეთილის უფროსი, თუ ეს?!“
3. მასწავლებელი თავს გრძნობს შეურაცხყოფილად. იგი ძალიან ნაწყენია, აღარ უყვარს ბავშვი. უნდა, რომ იგი დასაჯოს, სამაგიერო გადაუხადოს, რაც გადაიზრდება დაუსრულებელ კონფლიქტში. იგი ფიქრობს: „როდის უნდა დასრულდეს ეს ყველაფერი?!“
4. მასწავლებელი თავს გრძნობს უმწეოდ; არ იცის, როგორ მოიქცეს და ფიქრობს: „არ ვიცი, რა ვუყო ამ ბავშვს, ვნებდები. ამ ბავშვთან ერთად ვერ ვიმუშავებ!“

დანართი №4

სადიაგნოსტიკო კითხვები მოსწავლეებისთვის

ყურადღების მიპყრობის სურვილი

- იქნებ ცუდი საქციელით მასწავლებლის ყურადღების მიპყრობას ცდილობ?
- იქნებ გინდა, რომ მასწავლებელმა რამე განსაკუთრებული გააკეთოს შენთვის?

ძალაუფლების მოპოვების სურვილი

- იქნებ გინდა მასწავლებელს აჩვენო, რომ რისი გაკეთებაც გინდა, იმაში ხელს ვერავინ შეგიშლის?
- შეფობა (უფროსობა) ხომ არ გინდა?

შურისძიების სურვილი

- იქნებ გაწყენინეს და შენც გინდა ამის სანაცვლოდ მასწავლებელს და თანაკლასელებს აწყენინო?
- იქნებ გული გატკინეს და გინდა სამაგიერო ჩვენ გადაგვიხადო?

მარტოსული

- იქნებ გინდა, ყველამ თავი დაგანებოს (მარტო დაგტოვოს)?
- იქნებ ფიქრობ, რომ უუნარო ხარ და არ გინდა ეს სხვებმაც გაიგონ?

დანართი №5

ინტერვენციების შემდგომი გამოკითხვა

მასწავლებლებისთვის

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ სამიზნე კლასში დისციპლინის მხრივ მდგომარეობა:

ა). გაუმჯობესდა

ბ). იგივე დარჩა

გ). გაუარესდა

მოსწავლეებისთვის

თქვენს კლასში მეორე სემესტრში საერთო საკლასო დისციპლინა:

ა). გაუმჯობესდა

ბ). იგივე დარჩა

გ). გაუარესდა

დანართი №6

ICASSI-ს სერტიფიკატები



Teilnahmezertifikat

Nana Kobachidse

hat vom 23. Juli - 5. August 2000 an der 33. Internationalen Rudolf-Dreikurs-Sommerschule am Lyceum Alpinum Zuoz, Schweiz, teilgenommen. Der/die Teilnehmende hat Vorlesungen und Demonstrationen besucht, die täglich von 9-10.30 Uhr gehalten wurden, sowie täglich von 11-12.30 oder 13 Uhr und 16-17.30 oder 18 Uhr zwei Seminare.

Datum	Seminar	Teilgenommene Unterrichtsstunden	Unterschrift der Dozentin/des Dozenten
vom 23. Juli - 5. August 2000	Einführung in die Individualpsychologie	20 Stunden	<i>E. Dreikurs-Ferguson</i>
vom 23. Juli - 5. August 2000	Individualpsychologische Konzepte in der Schule anwenden	20 Stunden	<i>Gordon Millar</i>

ICASSI, Lyceum Alpinum, Zuoz
August 2000

Gordon Millar
Gordon Millar
ICASSI-Verwalter

Eva Dreikurs-Ferguson
Eva Dreikurs-Ferguson
ICASSI Vorstandsmitglied



ICASSI (Internationales Komitee für Adlerianische Sommer-Schulen und Institute)

TEILNAHMEBESCHEINIGUNG

Hiermit wird bescheinigt, dass

NANA KOBACHIDSE

am 35. jährlichen Rudolf-Dreikurs-Fortbildungsinstitut an der Ostdeutschen Sparkassen-Akademie, Potsdam/Berlin, Deutschland, vom 21. Juli - 3. August 2002 teilgenommen und die folgenden Kurse für die angegebene Stundenzahl besucht hat.

KURSTITEL	TEILGENOMMENE STUNDEN	DOZENT/DOZENTIN	UNTERSCHRIFT DER DOZENTEN
BLOCK II KONSTRUKTIVE KOMMUNIKATION	20	ERIKA MAASS-KEIBEL	<i>E. Maass-Keibel</i>
BLOCK III LEBENSSTIL UND FRÜHERINNERUNGEN	20	SAMUEL SCHÜRER	<i>Samuel Schürer</i>

Gordon Millar
GORDON MILLAR
ORGANISATIONSLEITER

Eva Dreikurs-Ferguson
EVA DREIKURS-FERGUSON
CO-VORSITZENDE

3. AUGUST 2002

რეფლექსია

კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა - „დისციპლინური დარღვევები გაკვეთილზე და ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობა მათ შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად“, ჩავატარეთ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის საბაზო საფეხურის ერთ-ერთ კლასში.


კვლევის მიზანი იყო:

- ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციების გამოყენების ეფექტურობის დადგენა სამიზნე კლასში მკვეთრად მომატებული დისციპლინური დარღვევების შესამცირებლად / აღმოსაფხვრელად და შესაბამისად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად;
- საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწა კლასის მართვის თვალსაზრისით;
- კოლეგების დახმარება კლასის მართვის გაუმჯობესების კუთხით;
- მოსწავლეთა დახმარება, თავიანთი „ცუდი ქცევის“ იდენტიფიცირებასა და გამოსწორებაში და შესაბამისად, თავიანთი ცოდნისა და აკადემიური მოსწრების ამაღლებაში.

კვლევა მიმდინარეობდა რვა თვის მანძილზე. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევამ თავიდანვე გამოიწვია კოლეგების ინტერესი. კვლევის მიმდინარეობისას შუალედურ შედეგებს ვუზიარებდით კოლეგებს და მათგან მუდმივად ვიღებდით უკუკავშირს.

კვლევის დასრულების შემდეგ, კვლევის ანგარიში გავუზიარეთ როგორც სამიზნე კლასის, ასევე სხვა დაინტერესებულ კოლეგებს პრეზენტაციის სახით. მათ გამოხატეს დიდი დაინტერესება საკვლევი საკითხის მიმართ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო კოლეგების აზრი ჩატარებული კვლევის შესახებ. მასწავლებლებისთვის საინტერესო სიახლე იყო ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კონცეფციები და მათი წარმომადგენლების რეკომენდაციები კლასში დისციპლინის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მათ იმედი გამოთქვეს, რომ კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ კლასის მართვის თვალსაზრისით სიტუაციის გაუმჯობესებაში და უკეთესი შედეგების მიღწევაში. კოლეგების აზრით, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში წარმოდგენილი იყო საინტერესოდ და აკადემიური ენით.

ხელმოწერა



/ნანა კობახიძე/